

## მიგრაციის პროფილის მკითხველის გზამკვლევი

მიგრაციის პროფილი კომპლექსური დოკუმენტია, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული/დამუშავებული დიდი ოდენობის სტატისტიკური ინფორმაცია, რასაც თან ერთვის შესაბამისი ანალიზი.

დოკუმენტის სტრუქტურა საგანგებოდ იმგვარად არის აგებული, რომ მისი ნაწილები ერთმანეთთან იყოს აზრობრივად დაკავშირებული და ამ უწყვეტი ჯაჭვის ერთიანობაში აღქმის შედეგად გამოიკვეთოს საერთო სურათი. სათანადოდ, პროფილის რომელიმე ნაწილის კითხვისას აუცილებელია თემასთან დაკავშირებული წინამორბედი ან/და მომდევნო ნაწილის სწორად გააზრება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

ამასთანავე, 2015 წლიდან მოყოლებული, ე.წ. საშუალო და მოკლე ფორმატის სისტემის პროფილები შედგენილია ისე, რომ მკითხველმა მარტივად შეძლოს მათ შორის კავშირის დანახვა და წლების მიხედვით მონაცემების სწორი შედარებითი ანალიზის გაკეთება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დოკუმენტზე მუშაობა შრომატევადი პროცესია და მისი განახლება გარკვეულ დროს მოითხოვს. ამდენად, მიგრაციის პროფილის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტში მითითებულ წყაროებს და მათი ნახვის თარიღს. ამის აუცილებლობა შემდეგი გარემოებებიდან მომდინარეობს: ა) მონაცემები მოგროვილია და, ძირითადად, ასახავს 2015-2019 წლების ვითარებას. შესაბამისად, არ უნდა მოხდეს მათი უახლეს მდგომარეობასთან გაიგივება; ბ) პროფილში წარმოდგენილი ცალკეული მონაცემები და წყაროები ხშირად ახლდება და შესაძლებელია, რომ წყაროების მოგვიანებით ნახვისას განსხვავებული/განახლებული ინფორმაცია ფიქსირდებოდეს. შესაბამისად, მიგრაციის პროფილებიდან კონკრეტული მონაცემის განკერძოებულად/განცალკევებულად გამოყენება, შესაძლოა, არასწორი დასკვნის საფუძველი გახდეს.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდების გამარტივებისა და მონაცემების ადვილად აღქმის მიზნით ბოლო თაობის პროფილების სერია მაქსიმალურად ვიზუალიზებულია, მათი გამოყენებისას ზუსტად იმავე პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს მკითხველმა, როგორც ნარატიული ტექსტის მქონე პროფილებით სარგებლობისას - წინამორბედ და/ან მომდევნო ნაწილთან ბმითა და მათთან ერთიანობაში გააზრებით.

ასეთი მიდგომით მკითხველს საშუალება მიეცემა, მიიღოს საჭირო ინფორმაცია და მისი მეშვეობით გააკეთოს სწორი დასკვნები, რითაც პროფილზე მომუშავე გუნდის მიერ გაწეული საქმიანობა გამოიღებს ნაყოფს.